მალხაზ მაცაბერიძე •

დისკუსია საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელის შეცვლასთან დაკავშირებით ••

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელის შეცვლასთან დაკავშირებით მიმდინარე დისკუსია 1918 წლის სექტემბერ-ოქტომბერში. წარმოდგენილია დისკუსიის დროს გამოთქმული ძირითადი მოსაზრებები და არგუმენტები ამა თუ იმ სახელწოდების მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ. დისკუსიის შედეგად შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და ხმათა უმრავლესობით გაიმარჯვა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინადადებამ, რადგანაც ამ პარტიას ყველაზე დიდი ფრაქცია ჰყავდა ეროვნულ საბჭოში. ეროვნულ საბჭოს დაერქვა საქართველოს პარლამენტი.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, საქართველოს ეროვნული საბჭო, საქართველოს პარლამენტი

შესავალი

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 10 სექტემბერს, საკითხის რამდენიმე სხდომაზე განხილვის შემდეგ, მიიღო კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც საქართველოს ეროვნულ საბჭოში შეიყვანეს ქვეყანაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმო-

---

• პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

•• ნაშრომი მომზადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის - „თანამედროვე ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან: საქართველოს ეროვნული საბჭო-საქართველოს პარლამენტი“ ფარგლებში. გრანტის კოდი: FR-23-2950

მადგენლები (10 სომეხი, 4 აზერბაიჯანელი, 3 აფხაზი, 2 რუსი, 2 ქართველი ებრაელი, 1 ებრაელი, 1 გერმანელი და 1 ბერძენი). ამის შემდეგ დღის წესრიგში დადგა საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელის შეცვლის საკითხი, რადგანაც, როგორც პავლე საყვარელიძე აღნიშნავდა, სახელი შეხამებული უნდა ყოფილიყო „დღევანდელ მდგომარეობასთან“ და ეროვნული საბჭო უკვე გახდა „წარმომადგენელი მთელი საქართველოს ხალხისა“.

სახელწოდების განხილვა საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე

საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელის შეცვლასთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ წამოაყენა წინადადება, რომ ეროვნულ საბჭოს დარქმეოდა „საქართველოს პარლამენტი“.

1918 წლის 14 სექტემბრის სხდომაზე საკონსტიტუციო კომისიას სასწრაფოდ მოუხდა მუშაობის დაწყება სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადების თაობაზე. კომისიამ პავლე საყვარელიძეს („ალიონის“ ჯგუფი) დაავალა შესაბამისი კანონპროექტის შემუშავება და მომდევნო სხდომაზე წარმოდგენა.[1]

საკონსტიტუციო კომისიის 1918 წლის 18 სექტემბრის სხდომა მთლიანად ამ საკითხის განხილვას მიეძღვნა. პ. საყვარელიძემ შეუძლებლად მიიჩნია ეროვნული საბჭოსთვის საქართველოს პარლამენტის სახელის დარქმევა, „რადგანაც პარლამენტი საზოგადო სახელწოდებაა საკანონმდებლო დაწესებულებათა, წინააღმდეგ ამისა, ყოველს სახელმწიფოში პარლამენტს საკუთარი ისტორიულად შემუშავებული სახელი აქვს. ჩვენ უნდა ავირჩიოთ ისევ ქართულ სახელწოდებებში რომელიმე. ასეთია სახელწოდებანი: კრება, საკრებულო, დარბაზი, საბჭო და სხვ“.[2] პ. საყვარელიძეს უმჯობესად მიაჩნდა დარბაზის ნაცვლად დარჩენილიყო ისევ საბჭო „ეროვნულის

[1] სცსსა, ფ. 1836, ანაწ.1, საქ.201, ფურც.78.

[2] სცსსა, ფ. 1836, ანაწ.1, საქ.201, ფურც.79.

შეცვლით“. მისი აზრით, შეიძლება ეწოდებინათ აგრეთვე „წარმომადგენელთა პალატა“, „წარმომადგენელთა საბჭო“. რ. არსენიძის აზრით, ეროვნული საბჭოსთვის უნდა ეწოდებინათ „ხალხის წარმომადგენელთა დარბაზი“, კ. მაყაშვილის აზრით - „რჩეულთა დარბაზი“. საბოლოოდ, კომისია შეჩერდა სახელწოდებაზე - „წარმომადგენელთა დარბაზი“, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტა მაინც მომდევნო სხდომისათვის გადადეს.

საკონსტიტუციო კომისიის 21 სექტემბრის სხდომაზე საკითხის განხილვა გაგრძელდა. თავიდან მხარი დაუჭირეს ახალი სახელის სახით მიიღეს „სახელმწიფო დარბაზი“, ბოლოს კი არჩევანი შეაჩერეს სახელწოდებაზე „რესპუბლიკის დარბაზი“. სწორედ ეს სახელწოდება წარუდგინეს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმს, მომხსენებლად კი გამოჰყვეს პავლე საყვარელიძე.[3]

მოსაზრებები საქართველოს ეროვნული საბჭოს ახალ სახელთან დაკავშირებით

სანამ ეროვნულ საბჭოში სახელის განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მაინც შევეხოთ იმ განსხვავებულ მოსაზრებებს, რაც ამ დროისათვის გამოთქმული იყო საზოგადოებაში და თვალსაჩინო წარმოდგენას გვიქმნის ამ დროისათვის არსებულ დიდ აზრთა სხვადასხვაობის თაობაზე. შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ძირითადი სიტყვა: „საბჭო“, „დარბაზი“, „პარლამენტი“, „პალატა“, „კრებული“, „სასახლე“, „სათათბირო“. ეს სიტყვები წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ვარიანტებით:

ძირითადი სახელი	ვარიანტები
საბჭო	ნაციონალური საბჭო სახალხო საბჭო საერო საბჭო სახელმწიფოს წარმომადგენელთა საბჭო
პალატა	საქართველოს პალატა

[3] სცსსა, ფ. 1836, ანაწ.1, საქ.201, ფურც.81

	ხალხის წარმომადგენელთა პალატა დეპუტატთა პალატა საერო სახელმწიფო პალატა
კრებული	სახალხო კრებული საერო ყველა წარმომადგენელთა კრებული რჩეულთა კრებული წარმომადგენელთა კრებული
სასახლე	საზოგადო საკანონმდებლო სასახლე
სათათბირო	საკანონმდებლო სათათბირო
დარბაზი	წარმომადგენელთა დარბაზი საერო დარბაზი სახელმწიფოს დარბაზი რესპუბლიკის დარბაზი

დისკუსია ეროვნულ საბჭოში

1918 წლის 4 ოქტომბერს ეროვნულმა საბჭომ თავის 44-ე სხდომაზე განიხილა ეროვნული საბჭოს სახელის შეცვლის საკითხი. თუ კენჭისყრის შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, სხდომას 70 წევრი ესწრებოდა. როგორც აღმოჩნდა ყველა ფრაქციას თავისი მოსაზრებსა ჰქონდა ამ საკითხთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო კომისიის სახელით მოხსენებით გამოსულ პავლე საყვარელიძე კი პირველ რიგში შეეცადა დაერწმუნებინა საბჭოს წევრები, რომ არ მიეღოთ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადება და ეროვნულ საბჭოსთვის არ დაერქვათ პარლამენტი.

ამასთან დაკავშირებით პავლე საყვარელიძემ ორი არგუმენტი მოიშველია: ა/ პარლამენტი ზოგადი სახელია და ასე ეწოდებოდა ყველა საკანონმდებლო დაწესებულებას. პარლამენტის დარქმევა „იმას ნიშნავს, რომ არაფერი არ დავარქვათ“, წარმომადგენლობით დაწესებულებას თავისი საკუთარი სახელი უნდა ჰქონდეს და, სხვა ქვეყნების მსგავსად, ეს სახელი ეროვნული უნდა იყოს; ბ/ მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია საქართველოს მომავალი წესწყობილების განსაზღვრისას პარლამენტარიზმს გამორიცხავდა

(ე. ი. პარლამენტს კი არ უნდა ჰქონოდა გადამწყვეტი ხმა, არამედ ხალხს).

პავლე საყვარელიძემ აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო კომისიამ ახალი სახელწოდების რამდენიმე ვარიანტი განიხილა და საბოლოოდ შეჯერდა „რესპუბლიკის დარბაზზე“. მისი განცხადებით, ყველა ერი თავის საკანონმდებლო დაწესებულებას არქმევს ეროვნულ სახელწოდებას. მისი განცხადებით, სიტყვა „დარბაზი“ არ იყო ქართული, მაგრამ იქცა „წმინდა ქართულ სიტყვად“, „წარმოშობილია უცხო სიტყვიდან, მაგრამ დღეს შესისხლხორცებული და შეთვისებულია ჩვენ მიერ“. პავლე საყვარელიძემ დაიმოწმა ივანე ჯავახიშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი და შემდეგ გაკვირვება გამოთქვა ექვთიმე თაყაიშვილის შეცვლილი პოზიციის გამო.

ეროვნულ-დემოკრატების სახელით სხდომაზე გამოსულმა ექვთიმე თაყაიშვილმა სხდომაზე წინადადება წამოაყენა, რომ ეროვნული საბჭოსთვის დაერქმიათ „საქართველოს რესპუბლიკის საბჭო“. მისი თქმით, ა/ საბჭო ეროვნული ქართული სახელწოდებაა; ბ/ აღნიშნავს ბჭობას და არა ადგილს („დარბაზი“), სადაც ხალხის წარმომადგენლები იკრიბებიან სამსჯელოდ.

შალვა მიქელაძემ (სოციალისტ-ფედერალისტი) თავის ფრაქციის სახელით აღნიშნა, რომ ეროვნულ საბჭოს სახელი უნდა შეცვლოდა, რადგან აღარ იყო ეროვნული და ყველაზე მისაღებად ჩათვალა ის, რასაც ე. თაყაიშვილი სთავაზობდა შეკრებილთ - „საქართველოს რესპუბლიკის საბჭო“. შალვა მიქელაძემ აღნიშნა, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის აზრით სახელწოდების საკითხი არ იყო „დიდი პრინციპიალური საკითხი“ და სრული თავისუფლება ეძლეოდათ ფრაქციის წევრებს ხმა მიეცათ იმ სახელწოდებისთვის, რომელიც მოეწონებოდათ.

სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის სახელით ივანე ჩერქეზიშვილმა უარყო „პარლამენტის“ ან „დარბაზის“ დარქმევის იდეა. ესერთა აზრით სახელწოდებაში უნდა შენარჩუნებულიყო „საბჭო“, ოღონდ ეროვნულ-დემოკრატებისგან განსხვავებით სიტყვა „რესპუბლიკის“ ნაცვლად საჭიროდ თვლიდნენ გამოეყენათ სიტყვა

„სახალხო“. გამოდიოდა „საქართველოს სახალხო საბჭო“. ამავე დროს ივ. ჩერქეზიშვილმა განაცხადა, რომ სახელის შეცვლის საკითხი დამფუძნებელ კრებას უნდა გადაეწყვიტა და წინადადება წამოაყენა განსახილველი საკითხი გადაედოთ დამფუძნებელი კრების შეკრებამდე. სხდომის თავმჯდომარემ ამ წინადადებას კენჭი არ უყარა, რადგანაც რეგლამენტი ასეთ რამეს არ ითვალისწინებდა.

რეზო გაბაშვილი გამოვიდა არა თავისი ფრაქციის (ეროვნულ-დემოკრატების), არამედ პირადი აზრით. მან არასერიოზულად მიიჩნია სოციალისტებისათვის დამაფიქრებელი არგუმენტი, რომ ხალხში დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს, თუკი გაიგებენ, რომ „დარბაზი“ მეფობის დროს იყო შემოღებულიო. ამ არგუმენტით „პარლამენტის“ უპირატესობა არ მტკიცდებოდა, რადგანაც ზოგიერთი პარლამენტი ასევე „მეფობის დროს“ იყო შემოღებული. მისი აზრ ით სიტყვა „საბჭოს“ წინააღმდეგ ის მოქმედებდა, რომ ქვეყანაში ამ დროისათვის არსებობდა მრავალი სხვადასხვა საბჭო. რაც შეეხება „დარბაზს“, მის საწინააღმდეგოდ ის მოქმედებდა, რომ დარბაზში შეკრებილ „მოლაპარაკე პირთ“ სახელად „დარბაისლები“ უნდა დარქმეოდათ. ეს საბჭოს წევრებია აშკარა დაცინვა იყო და სხდომის თავმჯდომარემ გააფრთხილა გაბაშვილი: „გთხოვთ კათედრიდან რომ ლაპარაკობთ უფრო ფრთხილად დაიჭიროთ თავი“.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის პოზიციის დამცველად გამოვიდა ალ. ლომთათიძე. მისი თქმით, უნდა მიეღოთ ხალხისთვის ადვილად გასაგები სახელი. ლომთათიძე ამტკიცებდა, რომ საკონსტიტუციო კომისიის მიერ შერჩეული „დარბაზი“ ბევრმა არ იცოდა და ვინც იცნობდა, მისთვის დარბაზი ცხენების სადგომი „დიდი თავლა“ იყო. ლომთათიძის ან უცნაურ არგუმენტს ყველა გამომსვლელი შეეხო და აღნიშნა, რომ არსად საქართველოში „დარბაზი“ ცხენების სადგომს არ ნიშნავდა.

ეროვნული საბჭოს ახალ სახელთან დაკავშირებით საერთო თანხმობას ვერ მიაღწიეს და საკითხი კენჭისყრით გადაწყდა. ხმათა

უმრავლესობით სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებამ გაიმარჯვა:

სახელი	ავტორი	მომხრე	მოწინააღ-მდეგე
საქართველოს რესპუბლიკის დარბაზი	საკონსტიტუციო კომისია	19	39
საქართველოს პარლამენტი	სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია	40	30
საქართველოს სახალხო საბჭო	სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია	5	-
საქართველოს რესპუბლიკის საბჭო	სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქცია	26	40

ბოლოსიტყვაობა

საქართველოს ეროვნული საბჭოსთვის სახელის შეცვლამ დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და ახალი სახელი „საქართველოს პარლამენტი“ მხოლოდ ხმათა უმრავლესობით დამტკიცდა. თუმცა შემდგომში ეს სახელი დამკვიდრდა. 1921 წელს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლში ნათქვამი იყო: „საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის „საქართველოს პარლამენტი“. ეს სახელწოდება ჰქვია დღევანდელ საკანონმდებლო ორგანოსაც. 1995 წლის კონსტიტუციის მე-3 თავის სახელწოდებაა „საქართველოს პარლამენტი“.

ლიტერატურის სია

სცსსა, ფ. 1836, ანაწ.1, საქ.201.

ეროვნული საბჭო. სტენოგრაფიული ანგარიში, 44-ე სხდომა. 1918 წლის 4 ოქტომბერი (გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ დამატება).

საქართველოს კონსტიტუცია. მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია - https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

მაცაბერიძე მ. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება, მიღება, სახელმწიფოს მოწყობის კონცეფცია. თბ., 2021.

Malkhaz Matsaberidze

Discussion on the Change of the Name of the National Council of Georgia

Abstrsct

The paper deals with the discussion regarding the change of the name of the Natiomal Council of Georgia launched during September-October, 1918. The main ideas and arguments presented during the discussion in support or against particualr name are highlighted. The discussions did not result in agreemnt on a particular version and the one offered by the Social-Democratic Party was enrdorsed by the majority vote, as this party had the biggets fraction in the Natiomal Council. The National Council was named as the Parliament of Georgia.

Keywords: Georgia, the National Council of Geoბოლო; the Parliament of Georgia.